



ქართული

1993

სუთხაბათი

15

აპრილი

№15 (10606)

ფასი 3 ლარი

საგარეო დამცემი არ გაიცვალის სხვაზე

საგარეო დამცემი არ გაიცვალის სხვაზე

გაზეთი გამოდის 1990 წლის 1 მარტიდან

მიმდინარეობს აპრილს

ეს იყო ერთსულოვნება გ ე რ მ ი

ცხრა აპრილი—ჩვენი ტკივილი-სა და ცრემლის დღე, ჩვენი სულიერი თავისუფლებისა და ამაღლების წმიდათაწმიდა თარიღი. ამ დღეს თავისუფლებას მონატრებულმა ერმა მთელი სისავსით იგრძნო საკუთარი ვინაობა, ქარცხლიანი ისტორიული გზის ცხოველმყოფელობა და მძლავრ მუშტად შეკრული საყოველთაო ნება დაუპირისპირა დამპყრობელ ძალას.

თვალეობით აცქერდებოდა სახალხო ზეიმის ცალკეულ პერიპეტებს, ეროვნული კოლორიტით დამშვენებულს. და საერთო აღტაცების ეპიცენტრი მაინც გაზღდათ თავისუფლების მოედანი, სადაც ჩატარდა პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ძალების დათვალეობა-აღლუმი. ტრიბუნის წინ ჩავლილ ბატალიონებს გულთბილად მიესალმა თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე პოლკოვნიკი ლოთი ქობალია.

ეს დღე მთელ საქართველოში აღინიშნა მასობრივი აღტაცებისა და ერთსულოვნების ნიშნით. იგი საგანგებო აღტაცების განწყობილებით იზეიმა ჩვენმა ქალაქმა-ა. დილიდანვე ზუგდიდის ქუჩებსა და მოედნებზე იგრძნობოდა ხალხის დიდი ნაკადის მოძალბა. დღის 12 საათისათვის ცენტრალური მოედანი და მაგისტრალეები დაფარა მოქალაქეთა ურიცხვმა მასამ. ათეულ ათასობით ადამიანი ცნობისმოყვარე, იმედიანი

ათეულ ათასობით ადამიანი ოვაციებით, შეძახილებით შეხვდა ეროვნული გვარდიის ნაწილებს. შემდეგ გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, სადაც სიტყვები წარმოთქვეს ბატონებმა: ზაურ ქობალიამ, ვალერი გაბელიამ, ანზორ გვარამიამ, ზურაბ გუჩუამ, თამაზ შორყოლიანმა და სხვებმა.

ეს იყო ამაღლებული დღე, სადაც ერთხელ კიდევ ასე ძალუმაღლ გახშირდა ეროვნული გონი, ჭეშმარიტი ეროვნული სულიერება.

დავიდგა მეტად საპასუხისმგებლო უამი ნაგვემ-ნაწამებ ოდიშარებს. მოვიდა გაზაფხული და თან მოიტანა უჩვეულო სირთულეები, ათასნაირი საშრომელ-საზრუნავი, დაუყოვნებლივ თავმოსაბმელი საქმეები. და ყოველივე ეს უნდა

სურათი დაიხატოს. პირიქით, ოდიშელი კაცი არასოდეს არ ყოფილა გასაჭირს დამონებულნი, ქედმოხრილი. მასში მულამეამს ძალუმაღლ. ფეტივედა თვითგადარჩენის ინსტიქტი, ჭირთა ძლევისა და შენების ჯანსაღი გენი. ამდაგვარ

რება გაუწიონ სოფლის საჭირობო-როტო საკითხებს. ქალაქისა და რაიონის გამგეობა მოძალეული უმძიმესი პრობლემების მოგვარებაში უფრო უნდა ეყრდნობოდეს საკრებულოს, ხედავდეს მასში იმ ორგანიზაციულ რგოლს, საიდანაც

პირსა შიგან გამაგრება...

მხნელ იყავ, გლეხკაცი!

შევძლოთ ქაოტური პირობების, უკიდურესად გამაღიზიანებელი დეფიციტების, ქმედითი ორგანიზაციული, სამართლებრივი, ეკონომიკური ბერკეტების არ არსებობის ფონზე.

სიცოცხლისუნარიანობას, ძალისხმევას დიხაკ იჩენენ გაზაფხულის ამ მღელვარე დღეებში რიგ სოფლებში. მაგალითად, ახალბასთუმანში, ახალსოფელში, ნარაზენში, რუხში ადგილობრივი ხელისუფალი იჩენენ პირად მონდომებას, ინიციატივას, ახერხებენ, კრიზისული სიტუაციების პირობებში მშრომელების დაიმედებას, კეთილი ტრენსით დამუხტვას, მიწის დამუშავების სფეროში სხვადასხვა ბერკეტების კერძო ინიციატივის, იჯარის, კოოპერირების სხვადასხვა პრინციპების შეხამებას.

შესაძლებელი იქნება პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად შემართულ პირთა კეთილი იმპულსით დამუხტვა.

ერთი სიტყვით, ჩვენი გლეხკაცობა უმკაცრესი გამოცდის წინაშეა. ყველა, ყველა უზანუხე უნდა გამოვიჩინოთ გონიერება, საზრიანობა, სიბეჯითე, გამძლეობა, ურთიერთთანადგობა, რათა ერთი გოჯი მიწაც არ დაგვრჩეს დაუმუშავებელი, დიდი და პატარა სახნავ-სავარგულეებში, ბაღებში, ბოსტანში უნდა გავიღებოთ. ყოველდღიური ჯაფით, წვა-დაგვიტ უნდა მოვიპოვოთ სარჩო-საბადებელი, მოვლონიერდეთ, სული გავიფოლოდოთ, ხეაღინდელი დღის იმედითა და რწმენით აღვიცხოთ. გავროდეთ, უფალიც შეგვეწევა ჩვენს ამ საერთო ძალისხმევაში.

ადგილებზე, ცალკეულ სოფლებში ყოფნისას წააწყდები დამაღონებელ სურათს. მზრუნველი კაცის მოლოდინშია დამუშავებელი მიწის ნაკვეთები, უსაწყვადო დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მუშახელის გარეშე ნოსლში ყვინთავს ჩაის პლანტაციები. სოფლად შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვის, ხოლო არსებულის დემონტაჟის გაჭიანურების ამ უმძიმეს გასაყარზე არც გვიკვირს დღევანდელი სოფლის ამდაგვარი მტკივნეული კოლიზიები. მაგრამ ერთი წუთითაც არ გვინდა უიმედობის

რაიონის ამ მასშტაბურ, სასიცოცხლო საფიქრალ საზრუნავს ერთი წუთითაც განუხე არ უდგას რაიონის საკრებულო, მისი მდივანი გურამ წულაია. ეს პატარა ოთახი ერთგვარ შტაბად ქცეულა, საიდანაც ცდილობენ კოორდინი-

...მაშინ მმართველის ჯარისკაცებმა წაიყვანეს იესო სასამართლოში და შეკრბეს მასზე მთელი რაზმი.

გახადეს მას და მოახსენეს ძოწეულის მოსახსნამი.

და დაწესეს ეკლის გვირგვინი, დაადგეს თავზე, მარჯვენა ხელში ლერწამი მისცეს. მის წინაშე მუხლი მოიყარეს, დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ და ეუბნებოდნენ: გიხაროდეს იუდეველთა მიფთვი.

აფურთხებდნენ მას, აიღეს ლერწამი და სცემდნენ თავში

და როცა დასცინეს მოხსნეს მოსახსნამი, ჩააცვეს თავისივე საბოსელი და წაიყვანეს, რომ ჭვარს ეცვათ.

როცა გამოდიოდნენ, პოვეს კაცი კვირინელი, სახელად სიმონი, ის აიძულეს, რომ ეტარებინა მისი ჭვარი.

მივიდნენ ადგილას, რომელსაც ჰქვია ვოლგოთა. რაც ნიშნავს: თხე მის ადგილი.

მისცეს მას ნაღველთან შეზავებული ღვინო სასმელად, რომ იგემა, დალევა არ უნდოდა.

როცა ჭვარს აცვეს, გაიყვეს მისი საბოსელი წილის ყრით. ისხდნენ და იქ უარაულობდნენ მას.

„ქრისტე აღდგა—ქეშმარიტად!“

და ამის თავს ზემოთ დადგეს დაწერილი მისი ბრალდება: „ეს არ ის იესო, იუდეველთა მიფთვი“.

„ხოლო მეექვსე საათიდან ცხრა საათამდე სიხნულე დადგა მთელ დედამიწაზე.“

დაახლოებით მეცხრე საათზე შესძახა იესომ დიდი ხმით: ელი, ელი! ლამა საბაქთან? ეს არის ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?

იქ მდგომთან ზოგიერთებმა მოისმინეს და თქვეს ილიას უხმოხს იგი.

უცხად გაიქცა ერთი მათგანი, აიღო ღრუბელი, ძმრით გაავსო წამოაგო ლერწამზე და მიაწოდა სასმელად.

სხვები კი ამბობდნენ: მოიცათ ვნახოთ თუ მოვა ილია მის გამოსახსნელად. ხოლო იესომ კვლავ შესძახა დიდი ხმით და სული განუტევა...

და ამა, ტაძრის ფარდა გაიხაორად ზემოდან ქვემოთ. და იძრა დედამიწა, კლდენი დასკდნენ.

სამარხნი გაიხსნენ და ბევრი განსვენებულ წმინდანის სხეული აღდგა.

გამოვიდნენ სამარხთაგან მისი აღდგომის შემდეგ და შევიდნენ წმიდა ქალაქში და ბევრს ეჩვენენ.

ხოლო ასისთავსა და მათ, ვინც მასთან ერთად უარაულობდა იესოს, მიწისძვრა და ყოველივე მომხდარი რომ ნახეს, შეტისმეტად შეეშინდათ და თქვეს, ქეშმარიტად ძე ღმერთისა იყო ეს.

იქ იყო აგრეთვე და შორიდან უყურებდა ბევრი დედაკაცი, რომლებიც გალილიდან გამოჰყვენენ იესოს და ემსახურებოდნენ მას.

მათ შორის იყვნენ მარიამ მაგდალინელი, იაკობისა და იოსეს დედა მარიამი და ზელეს ძეთა დედა“.

„როცა მოსალამოვდა მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიიდან, სახელად იოსები, რომელიც აგრეთვე თვითონაც იესოს მოწაფე იყო იგი მივიდა პილატესთან და ითხოვა იესოს გვამი. მაშინ პილატემ ბრძანა—მიეცათ.“

აიღო იოსებმა გვამი და შეახვიო სუფთა ტილოში.

და დასვენა თავის ახალ სამარხში, რომელიც კლდეში გამოყვეთა და სამარხის კართან დიდი ლოდი მიაგორა და წავიდა.

იქვე იყვნენ მარიამ მაგდალინელი და სხვა მარიამი, რომლებიც სამარხის პირდაპირ ისხდნენ“.

„შაბათი რომ გავიდა, კვირის პირველი დღის განთიადზე მოვიდნენ სამარხის სანახავად მარიამ მაგდალინელი და სხვა მარიამი.

ანგელოზმა კი მიმართა დედაკაცებს და უთხრა: ნუ გეშინიათ, ვინაიდან ვიცი, რომ ჭვარცმულ იესოს ეძებთ.

აქ არ არის, ვინაიდან აღდგა, როგორც თქვა. მოდით, ნახეთ ადგილი, სადაც იწვა.

მალე წადით და უთხარი მის მოწაფეებს რომ იგი აღდგა მკვდრეთით და აი, თქვენს წინ მისი გალილიესკენ. იქ ნახავთ მას, აი, გითხარით თქვენ“.

„აჩქარები წასულნი სამარხი-

დან შიშით და დიდი სიხარულით გარბოდნენ, რომ ეცნობებინათ მისი მოწაფეებისთვის.

და აი, იესო შეხვდა მათ და უთხრა: გიხაროდეთ! ისინი კი მივიდნენ, ფეხებზე მოეხვივნენ და თაყვანი სცეს მას.

მაშინ უთხრა მათ იესომ: ნუ გეშინიათ, წადით და აუწყეთ ჩემს ძმებს, რომ წავიდნენ გალილესა და იქ მნახვენ მე“.

„ხოლო თერთმეტი მოწაფე წავიდა გალილესა, იმ მთაზე, რომელიც იესომ დაუთქვა მათ.

და რომ ნახეს იგი, თაყვანი სცეს, ხოლო ზოგიერთი დაქვდა. და მიუახლოვდა იესო, ელაპარაკა მათ და უთხრა მოცემული მაქვს მე მთელი ძალაუფლება ზეცაში და დედამიწაზე.

ამიტომ წადით და განადეთ მოწაფეებად ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამაცნეთ. და აი, მე თქვენთან ვარ ყველა დღეს წუთისოფლის აღსასრულამდე. ამინ!“

მათის სახარება.



თანავუხანოთ შაჰირვაზულ მოყვასს!

კულოცაკო წალენჯიხელ კოლეგებს

ამ რთულ დროში, როცა სულ-იერად და ეკონომიკურად ასე უჭირს ადამიანს, ახალი პერიოდული გამოცემისათვის თავის მოხმა ქე-შმარტ საერისკაცო საქმედ აღი-ქმება. სწორედ ამდგავარი სიჭე-ვლე გამოიჩინა კონსტანტინე გამ-ახურდიას საზოგადოების წალენჯ-იხის რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ, როცა დაიწყო გაზეთ „წალენჯიხის წარების“ გამოცემა. აი, ჩვენს ხელთაა გაზეთის პირ-ველი ნომერი, რომლის მეთაურ წერილში „მრწამსი“ ვკითხუ-ლობთ:

„რწმენა ადამიანის უდიდესი ციხე-სიმაგრეა, იგი სძენს სულს სიმტკიცეს, ჭირთა თმენის უნარს და ცხოვრების ხის განარების ძალას. ამ რწმენით იწყებს გამო-ვლას ჩვენი გაზეთი, სადაც გვსურს ობიექტურად აისახოს საქართველო-ს სახელმწიფოებრიობის ფუ-ძემდებელ კუთხეში, კოლხეთში, ვითომდაც სახელმწიფოებრივი ერთიანობის საბაზით შემოქრილი, ჯარის, სინამდვილეში კი ანგარე-ბით აღტყინებულ მოძალადეთა მიერ დატრიალებული ტრაგედი-ები“.

ამავე ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია საქართველო-ს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართვა მსოფლიოს საზოგადოებრიობისა-დმი, სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაო-ბა „უკონდიდელის“ პრეზიდენტის ვალერი გებელიას და გაზეთ „აღ-დგომის“ მთავარი რედაქტორის გიორგი სიჭინავას მილოცვები რედაქციის კოლექტივისადმი. გაზეთი ბეჭდავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭ-დებუტატის ზურაბ გუჩუას წე-რილს სათაურით „სიმართლემ გაგვართიანოს“, რომელიც გამო-ირჩევა კონსტრუქციული ხასიათ-ით, მხილების პათოსით და არგუ-მენტირების ძალით.

გ. თელია.

ომის ქარ-ცეცხლი ბობოქრობს საქართველოში. ცხოვრება გაჭირ-და. დამერწმუნეთ, ასეთ დროს ყველაზე მეტი მორალური და მა-ტერიალური თანადგომა ღვთის შვილებს, ჩვენს შეპირებულს მოყვასს—ინვალიდებს სჭირდებ-ათ. ბევრი მათგანი ხომ სრულიად უშუალო მარტოხელა, ლოგინს მიჯ-აქველი. ისინი ყოველგვარი იმე-ლის გარეშე, ბედის ანაბრად არი-ან დარჩენილი. წებისმიერი ცივი-ლიზებული სახელწიფო, წესით, რაც არ უნდა უჭირდეს მას, უუ-ურადღებოდ არ უნდა ტოვებდეს ასეთ ადამიანებს. თითოეული ჩვე-ნთაგანიც ვალდებულია პირადად იზრუნოს მათზე. ბოლოს და ბო-ლოს ისინი ხომ ჩვენი დები, ძმე-ბი, ნათესავები, მეზობლები არიან.

ალბათ ცივილიზებული სამყარ-ოს მაგალითებიდან გამომდინარ-ებობდა 1989 წელს საქართველოს უზენაესი საბჭოს დღგენილება სრულიად საქართველოს „ღვთის შვილთა“ კავშირის ინვალიდთა ასოციაციის შექმნის შესახებ. იგივე დაედო საფუძვლად აღნიშ-ნული ასოციაციის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის ზუ-გდიდში ჩამოყალიბებასაც.

ვისწავლოთ ქველმოქმედება

ფი ინვალიდის როგორც მატერია-ლურ ასევე მორალურ დახმარებ-ას. ზუგდიდის რეგიონალური ორგა-ნიზაციასაც სერიოზული ჩანაფიქ-რები აქვს. არაერთი გაბედული ნაბიჯიც გადაიდგა. ორგანიზაცია ნებაყოფილობითია. გაწვევრიანებ-ის შემდეგ ასოციაციასთან არსებ-ული სპეციალური ჯგუფი შრომ-ისუნარიან ინვალიდებს დახმარებ-ას უწევს ჩაებან შრომით საქმიან-ობაში იმის მიხედვით თუ ვის რა შეუძლია.

არაერთ ინვალიდ მოქალაქეს გავუწიეთ დახმარება საკუთარ ეროშივე გაუხსნა საეაქრო კიოსკე-ბი, წისქვილები, საბურავების გა-დასაკრავი საამქრო, ფეხსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნო. ასოცი-აციის ინიციატივით ინვალიდებ-ისთვის გახსნილია აფთიაქი, პურ-ის მაღაზია. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ბევრი ჩვენი შეპირებ-ული მოყვასი საუკეთესოდ ფლობს სხვადასხვა ხელობას, სპე-ციალობას. და მიუხედავად რწე-ლიდობისა შეუძლია საზოგადოებ-ისათვის სასარგებლო შრომის გაწევა. თითოეულ შრომისუნარი-ან ინვალიდს, რომელიც უკვე და-საქმებულია, ხელშეკრულება აქვს დადებული ასოციაციასთან და იხდის შედეგითან ვადასახადს. ეს თანხა კი ყველაზე უმწვეს ლოგინად მიჯაჭვეულ, მარტოხელა ინვალიდებს ხმარდებათ.

გულახდითად უნდა ითქვას, ინ-ვალიდთა ასოციაცია ზუგდიდელ-ებისაგან ზედმეტი ყურადღებით არ არის განვიხილული, მაგრ-ამ არიან ისეთი ხელმძღვანელი მუშაკები, რომელთა მიმართ მაღ-ლიერება არ შეიძლება არ გამო-ვხატოთ. მოკრძალებით და კვლა-ვაც თანადგომის იმედით გვინდა დავასახლოთ ბატონები ო. ფაც-აცია, ნ. მაღაზია, ლ. ბეჭევაია, ტ. ქანთარია. ზუგდიდის სამგზავ-რო ავტოსაწარმოს დირექტორმა ბატონმა მურმან ჯაბუამ გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი გასაჭირი და უსასყიდლოდ გადმოგვცა ამო-რტირებული ავტობუსი. რომე-ლსაც გამოვიყენებთ უფებო, ცა-ლფება ინვალიდების გადასაცვან-ად ჩაის ფაბრიკაში, სადაც ისინი ჩაის დაფასობაზე იმუშავენ.

გაკვირვებითა და გულსტივი-ლით მინდა აღუნიშნო მაკონტრო-ლებელი და ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთი მუშაკის გულგრილი დამოკიდებულება ინ-ვალიდებისადმი. აღნიშნული გვაქვს ფაქტი, როცა ამ უკანასკ-ნელებმა ბაზრის ტერიტორიიდან გამოაქვეც 65 წლის ცალფეხა კაცი, მეორე ჯგუფის ინვალდი, ათი შვილის მამა, რომელიც თავ-ისი ხელით დაზარდებულ, კანონ-ით ნებადართულ მოძრავ ლატარ-ეაზე („ბზრიალა“) ებატიყებოდა მსურველებს. ინვალდი კაცის გასამჯელო ამ საქმიანობისთვის უმნიშვნელო თანხა, რომელიც

მხოლოდ ბურს თუ უყვიდა მის მშვიტ შვილებს. ეს კაცი არც ქურ-ღია და არც ბანდიტი. იგი მხო-ლოდ საარსებო ლუკმის მოსაბოვ-ებლად ირჩება.

უღია, რომ ბევრ ჩვენთაგანს ინვალიდის თანაგრძნობა არ შეუ-ძლია. ალბათ, ქველმოქმედებასაც სწავლა უნდა. ჩვენს ასოციაციაში საქმიანობს ერთი გოგონა—მანანა ივლიშვილი, რომელსაც დაღლას ვერ შეატყობთ შეპირებულს მოყვასისათვის გაწეულ სამსახუ-რში. ნუცლებელი პროდუქტებ-ით დატვირთული იგი ბევრჯერ სტუმრობს მარტოხელა ინვალიდ-ებს. სასურველი იქნება თუ მას ჩვენი თანამემამულეებიც მიბაძა-ვენ.

ბაბო აბუშაძე.

კავშირი გულთა შორის

სანთლით რომ ეძიო, ვერ იპო-ვი ჩავლილ წლებს, ბობოქარ მდი-ნარესავით რომ ჩაგვიღის თვალ-წინ. ჩაგვიღის და თან წაიდებს ყველა ტკივილს და ყველა სიხარ-ულს. თურმე რამდენ ეკალს უძლ-ობელი ვარ წაკაუნა წვიმის... დღეს ქალბატონი მარო შენგელ-აია-ნაჭეუბია, ვალმობილი დედა და ბებია დედაბოძია ოჯახისა, რომლის ყველა წევრი ინჟინერია. ჩვენს ქალქში მოკრძალებით

ლობელი ვარ წაკაუნა წვიმის... დღეს ქალბატონი მარო შენგელ-აია-ნაჭეუბია, ვალმობილი დედა და ბებია დედაბოძია ოჯახისა, რომლის ყველა წევრი ინჟინერია. ჩვენს ქალქში მოკრძალებით

ლობელი ვარ წაკაუნა წვიმის... დღეს ქალბატონი მარო შენგელ-აია-ნაჭეუბია, ვალმობილი დედა და ბებია დედაბოძია ოჯახისა, რომლის ყველა წევრი ინჟინერია. ჩვენს ქალქში მოკრძალებით

რომ თქვენ არა...

დაიარება პირველი ქირურგი ქალი ზუგდიდში—ქეთო ხუხუნე, მასთან შეხვედრა მყისვე უცვლი-და და უცვლის ცულ გუნებას ადამიანებს. ქეთო-ქეთოა, განუმე-ორებელი.

მტრის ნამოქმედარი

ბოროტების კვერი ტრიალებს ჩვენს განაწამებ ქვეყანაში. სახიფ-ათოდ აიშალა, აწავიდა ადამიანის ქვეცნობიერებაში მიმდებული ბე-რი მანკი, ქვენა ინსტიქტები, ბნე-ლი იმპულსი ამის მიწეში ისიცაა, რომ ტოტალიტარულმა რეჟიმმა ათეულწლოებით ტრადიციული, მა-მაპაპური ზნეობრივი ნორმების, ღირსების კოდექსისადმი ნიღლი სტური სულსკვეთებით გვაცხოვ-რა. ღმერთის მგობელ, ხატების დამღეწვად საზოგადოებას სულიე-რი სიღუპტირე რომ მოგვეძაღმე-ოდა, არც იყო გასაკვირი. ახლა რა გვიშველის? მხოლოდ ღვთიუ-რი სიყვარულის ნათელში ტრიაი-კატი, შემობრუნება ზნეობრივი კატეგორიებისკენ, ერთობისკენ. თავისუფლებას ალბათ მარტო სა-ქართველო ვერ მოიპოვებს, თუ მთელი კავკასია არ გაერთიანდა. მაგრამ არიან ძალები, რომელთაც აფრთხობთ კავკასიის ერთ მტკი-ცმ დულაბად შეკვრა. ამ დღეებში აღმოსავლეთ საქართველოში დი-დი სარკინიგზო ხიდი ააფეთქეს. ამით სომხეთი გაერ სამყაროს მოწყვიტეს. იბადება კითხვა? ვინ ჩაიღინა ეს? რაღა თქმა უნდა, დი-ვერსანტებმა. მაგრამ კერძოდ, ვის აწყობდა ამ ბინძური აქტის განხ-ორციელება? შესაძლოა მავანმა თავისებურად იფიქროს, მაგრამ მე რატომღაც მგონია, რომ ეს ჩაიდ-ინა იმ ძალამ, ვისაც კავკასიის ერთობა არ უნდა და სურს მისი რესპუბლიკები ერთმანეთთ-ან მტრულ დამოკიდებულებაში იყვნენ. ამიტომ სიფრთსილედ გვა-რთებს ყველას, ვისთვისაც ძვირფ-ასია სამშობლოს დამოუკიდებლ-ობა.

ბ. ზარანდია.

